პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 152 (13546) | სამშაბათი, 5 ივლისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

• ხუთწლედის ეპოქიდან •

ზრდიან საწარმოს სიმძლავრეს

ახალი ელექტროლუმელები ჩადგა მწყობრში მიმდინარე წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. ამჟამად ეს გიგანტი ღუმელები უკვე ექსპლოატაციაშია. შემდგომში, საპროექტო სიმძლავრის ათვისების შედეგად, ღუმელები გამოუშვებენ 80 პროცენტით მეტ პროდუქციას, ვიდრე ყველა ღია ტიპის ღუმელი. ეს შესაძლებლობას მისცემს საწარმოს კოლექტივს ხუთწლედის დამლევისათვის 44 პროცენტით გაზარდოს ფეროშენადნობთა გამოშვება. ქარხნული ფეროშენადნობი, რომელიც გამოირჩევა მაღალი ხარისხით, მსოფლიოს 25 ქვეყანაში იგზავნება.

წარმოების ბევრი მოწინავე მუშაობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. საუკეთესოთა შორის აუცილებლად დასახელებენ მოწინავე მდნობელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ლევან გაჩეჩილაძეს. მისი ბრიგადა ყოველთვიურად დაკალებას 110-120 პროცენტით ასრულებს.

* * *

სურათზე: მდნობელთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლევან გაჩეჩილაძე და ბრიგადის წევრი შალვა ოურქაძე.

ფოტო ბ. დადვაძისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო მომსახურება მომხმარებელს

ვაჭრობა სახალხო მეურნეობის ისეთი დარგია, რომელსაც ყოველდღიურად მიმართავს ქალაქისა და სოფლის მილიონობით მცხოვრები. საბჭოთა ადამიანები უაღრესად დაინტერესებული არიან, რომ ვაჭრობა განუწყვეტლივ ვითარდებოდეს და უმჯობესდებოდეს, რომ მაღაზიებში საქონლის სიუხვე იყოს.

საავჭრო ორგანიზაციებისადმი ხალხია მოთხოვნები ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო გაიზრდება. ეს ბუნებრივიც არის. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია გადიდდეს მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი 1966-1970 წლებში საშუალოდ სულ ცოტა 20 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობიდან საშუალოდ 35-40 პროცენტით.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზრდება მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა მეიდეელობითი უნარი. ეს კი დიდი ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენი რესპუბლიკის კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკებს.

დღეს მუშაობას შეუდგება სამომხმარებლო კოოპერაციის XV ყრილობა, რომელიც შეაჯამებს ცეკავშირის გაგეგრობის მიერ 1962 წლიდან დღემდე გაწეული მუშაობის შედეგებს და დასახავს ახალ ამოცანებს ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში სოფლად მოსახლეობის საავჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ბევრი რამ გაკეთდა. რაიონული ცენტრები და სოფლები დამშენებულია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აგებული ახალი საავჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებით. ხორცეულფლება ვაჭრობის სპეციალიზაცია. ამჟამად რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობას ემსახურება 848 სასურსათო მაღაზია, 146 პურფუნთუშეულით მოვაჭრე, გალანტერიაპარფიუმერიით — 18, კულტსაქონლით — 88, წიგნით — 89, სამეურნეო საქონლით — 206, ქსოვილეთი — 18, შეკერილი ნაწარმით — 20, ფეხსაცმლით — 22, ავეჯით მოვაჭრე — 36 მაღაზია და სხვ.

როგორც ვხედავთ, უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო ამაღლდა და მნიშვნელოვნად გაფართოვდა რესპუბლიკაში ვაჭრობის განვითარებისა და საქონლით მომოკვების სფეროში სამომხმარებლო კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა. მისი ხვედრითი წონა საერთო საქონელბრუნვაში გადიდდა და ამჟამად 30,1 პროცენტს შეადგენს. ცეკავშირი თავისი სავაჭრო ქსელით მომსახურებას უწევს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტს.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ წარმატებით დაიწყო ახალი ხუთწლედის პირველი წელი. სისტემამ პირნათლად შეასრულა ვალდებულებები, რომლებიც ნაკისრი ჰქონდა პარტიის XXIII ყრილობის მოწვევისთან დაკავშირებით. საქონელბრუნვის მამდნარე წლის ხუთი თვის გეგმა შესრულებულია 103,3 პროცენტით, მათ შორის საცალო ვაჭრობაში — 103,4 და საზოგადოებრივ კვებაში 102,6 პროცენტით. გეგმის გადამეტებით მოსახლეობას მიეყიდა 5,8 მილიონი მანეთის სხვადასხვა სამრეწველო და სასურსათო საქონელი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საქონელბრუნვა გადიდდა 18.300 ათასი მანეთით, ანუ 11,5 პროცენტით.

ამ წარმატებებთან ერთად ჯერის ნაკლოვანებებიც. საავჭრო ქსელი საკმარისი არ არის, იგი მნიშვნელოვან გაფართოებას მოითხოვს. ბუნებრივია, ეს ერთი ხელის მოსმით არ გაკეთდება. მაგრამ მომხმარებელი უკმაყოფილო რომ არ გვეყოფოდეს, საჭირო ღონისძიება და მეცხოველეობის ფერმებში, განსაკუთრებით საძოვრებზე, სადაც მიზანშეწონილია ან ჯერ-ჯერობით გათვალისწინებული არ არის მაღაზიების აგება, გავაფართოოთ დატარებითი ვაჭრობა. ამას კი ესაჭიროება ტრანსპორტი. ლეობის მოთხოვნილებებს.

საკდესის ცნობა

დასახელი გამოცდების წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ 1966 წლის 4 ივლისიდან წყნარი ოკეანის აეროტორიის რაიონები, რომლებიც გამოცხადებული იყო საკდესის 1966 წლის 24 აპრილის ცნობაში, თავისუფალია ზღვაოსნობისა და თვითმფრინავთა ფრენისათვის.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია ალჟირს გაემგზავრა

3 ივლისს მოსკოვიდან ალჟირს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ვ. პ. მჟავანაძე (დელეგაციის მეთაური), ი. ვ. არხიპოვი, ი. ა. მალიკი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნ. მ. პეზოვი. საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ალჟირის ეროვნულ დღესასწაულში. (საკდესი).

საბჭოთა დელეგაცია ალჟირში ჩავიდა

ალჟირი, 4 ივლისი. (საკდესი). ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ოთხ წლისთავის დამოუკიდებლობის დღის მეორე დღესასწაულზე ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის ვ. პ. მჟავანაძის მეთაურობით.

დარ ელ-ბეიდის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი ბელაბდ აბდესალამი, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის აღმასრულებელი სამდივნოს საგარეო ურთიერთობის განყოფილების გამგე, მოკამად შებილა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური და კულტურული განყოფილების გამგე ლაიაში იაკერი.

ხუთდღიანი კვირის პირველი დასვენება

შორს გავარდნილა საქართველოს — მევენახეობისა და მეღვინეობის ამ უძველესი კერის სახელი. ჩვენებურმა ღვინოებმა, კონიაკებმა და ბოლო ხანს შამპანურმა ღვინოებმა მსოფლიოში საუკეთესოს სახელი დაიმკვიდრეს. აბა გავიხსენოთ შარშან თბილისში ჩატარებული ეუროპისა და შამპანური ღვინოებისა და კონიაკების I საერთაშორისო კონკურსის შედეგები: 33 ოქროს, 18 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი.

ეს ყოველივე დაუღალავი შრომისა და დიდი მეცადინეობის შედეგია. ამ მეცადინეობის საუკეთესო... მაგალითის იძლევა კომუნისტური შრომის საწარმო — თბილისის კონიაკის ქარხანა. მისმა სახელოვანმა კოლექტივმა წელს გასულ ექვს თვეში გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება. სახელმწიფოს მისცა 445 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, ხოლო ხუთ თვეში 2.368 ათასი მანეთი მოგება.

...შაბათს, 2 ივლისს ალიონიდან უჩვეულო გამოცოცხლება იყო კონიაკის ქარხნის ეზოში. კოხტად გამოწყობილ მუშა-მოსამსახურეთა ფრიალულს დოლ-გარმონის მელოდია ახვევდა.

მართლაც და უცნაური რამ ხდებოდა, თითქოს ამ დღეს კაცი საამქროში სამუშაოდ უნდა მიიჩქაროდეს, მაგრამ ფეხიც არავის არ დაუძრავს. მიზეზი? მიზეზი კი სწორედ კარგი შრომის შედეგია. ამ დღიდან მეკონიაკეებმა თბილისის მეოთხე ღვინისა და ლიქიორის ქარხნის კოლექტივებთან ერთად ახლებურად დაიწყეს ცხოვრება — კვირაში ორი დღე აქვთ დასვენება — შაბათსა და კვირას. დიახ, ჩვენს რესპუბლიკაში პირველად ამ სამმა კოლექტივმა იზეიმა მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველობის შედეგად მოპოვებული ეს უფლება.

სწორედ ეს პირველი უქმე დღე — მეკონიაკეებმა, მეღვინეებმა და მელიქიორეებმა გადაწყვიტეს ერთად, ბუნების წიაღში გაეტარებინათ.

ავტომაწყობის კოლონა, რომლებზეც ფრიალებდა წითელი ტრანსპარანტები წარწერით: „XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში“, „მადლობა მთავრობას ხუთდღიანი კვირისათვის“, სამხედრო გზით არაგვის ხეობისაკენ გაემართა.

აეარ ყინვალი, გუდაურები, თვალები, ირგვლივ თვალის მომტაცი მშვენიერება... მორბის არაგვი არაგვიანი... ბუნებას თავისი ჯადოსნური ფუნჯით დაუსურათებია ეს ადგილი. აი მობიბინე მწვანე მინდორი, ტანაყრილი თელები და წნორები. დიდებული სანახაობაა. სწორედ აქ დაბანაკდნენ თბილისელი მოლაშქრეები. ვინ არ იყო აქ: სამხედროტის მმართველი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ბეკაური, მისი მოადგილე ვ. მოდებაძე, კონიაკის ქარხნის დირექტორი ო. რობაქიძე, ლიქიორის ქარხნის დირექტორი ვ. ყიფიანი, მეოთხე ქარხნის დირექტორის მოადგილე შ. ორაგველიძე, მთავარი მეღვინე გ. ასათიანი, მოწინავე მუშები — ნ. ხაჯაპურიძე, ც. მაგრაქველიძე, ლ. მრეველიშვილი, ა. ცხვედიაშვილი, რ. ჩეჩვაძე, ვ. გიორგაძე და გაზეთებისა და ტელევიზიის წარმომადგენლები. დამსვენებლებს ეწვივნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ელელაშვილი და საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ა. შადური.

მოლაშქრენი რამდენიმე ჯგუფად დაიყვნენ. ზოგი ჩარგალში ვაჟას სახელმეზეუმს ეწვია, ზოგმაც იქვე ხის ჩრდილში ჭადრაკის დაფა გაშალა, ახალგაზრდობამ ფრენბურთის, ფეხბურთისა და ბადმინტონის თამაში გამართა.

დიდხანს ისმოდა მხიარული სიმღერები.

* * *

გუშინ თბილისის კონიაკის ქარხნის კოლექტივს პირველ კვარტალში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლისათვის საზეიმო ვითარებაში გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკური პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ო. არაგელიძე.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ზრდომითი ნოგათეგი

△ **საქართველოს** კპ კახეთის რაიონის პირველმა მდივანმა ვ. ქერქაძემ, რაიხალბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. **მუხიგულაშვილმა**, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **შ. ხორავაშვილმა** რედაქციას აცნობეს: რაიონს ზრდომელებმა 30 ივნისისათვის სახელმწიფოს მიაყიდეს 3.155 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 2.740 ცენტნერისა, გეგმა შესრულებულია 115 პროცენტით, 387.300 ცალი კვერცხი ნაცვლად 260 ათასი ცალისა — გეგმის 148,2 პროცენტი, 12.973 ცენტნერი რძე ნაცვლად 11.210 ცენტნერისა, 356 ცენტნერი მატყლი ნაცვლად 352 ცენტნერისა.

△ **თელავის** რაიონის მშრომელებმა — აცნობეს რედაქციას: საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. ვარდოშვილმა**, რაიხალბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **მ. მეზვრიშვილმა**, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ი. მესტვირიშვილმა**, — 25 ივნისისათვის სახელმწიფოს მიაყიდეს 2.249 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 2.120 ცენტნერისა, 10.025 ცენტნერი რძე ნაცვლად 9.930 ცენტნერისა, 704 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 460 ათასი ცალისა, 435 ცენტნერი მატყლი ნაცვლად 400 ცენტნერისა, 165 ტონა ყაზანლიყის ეარდი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 95 ტონისა.

△ **ბარდადნის** რაიონის დღმის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **ბ. საყვარელიძემ**, პარტიული კომიტეტის მდივანმა **ვ. ელიზბარაშვილმა** რედაქციას აცნობეს: მეურნეობას პირველი იელისისათვის სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდა 3.482 ცენტნერი ბოსტნეული, ფაქტიურად 30 ივნისისათვის მიჰყიდა 4.000 ცენტნერი. რძისა და ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება გადაჭარბებით შესრულდა. სახელმწიფოს მიეცა 4.000 ცენტნერი რძე ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 3.290 ცენტნერისა, 647 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 320 ცენტნერისა.

ბოლო მოეღოს ამერიკის ბარბაროსობას ვიეტნამში

სოხუმი, 4 ივლისი. (საკდესი). ათეისტთა ქალაქებსა და სოფლებში ინმართება საპროტესტო მიტინგები ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ. ძალითხვევ ბინძური ომის შეწყვეტას თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის მიზა-წყალზე.

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა სოხუმის სამეცრალო ფაბრიკაში.

სიტყვა პირველმა აიღო საწარმოს დირექტორმა ი. შარიამ. მან თქვა:

— ამერიკელი მკვლელები ლამაზ ფრაზებით პირფერულად ლაპარაკობენ თავისუფლების დაცვაზე ვიეტნამში. საქმით კი თავისუფლებას ახრჩობენ. ამას წინათ ამერიკელმა ბარბაროსებმა დაბომბეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ოდიაქლაქი ჰანოი და დიდი ნავსადგური ჰაიფონი. შხამქიმიკატები გამოიყენეს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. გეკერა, რომ შორს არ არის ის დღე, როცა ომის გამჩაღებლებს საკადრისად მიეზღვევათ ამ სასტლანი მოქმედებისათვის და მასუხს აგებენ ჩადენილი დანაშაულისათვის.

ოკეანესგაღმელი ინტერვენტების დანაშაულებრივი მოქმედების გამო დიდი გულისწყრომა გამოთქვეს და მხურვალედ დაუჭირეს მხარი ვიეტნამელ პატრიოტებს სამართლიან ბრძოლაში მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა ფაბრიკის მექანიკოსმა ი. ოვანოვმა, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ლ. გრიგორიევამ, მკერავებმა ი. შარუხიამ, თ. ჯამბაროვამ და სხვებმა.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს საომარი მოქმედება ვიეტნამში.

ტყვარჩელი, 4 ივლისი. (საკდესი). ტყვარჩელელ მშრომელთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ ამერიკელმა აგრესორებმა დაბომბეს ჰანოისა და ჰაიფონის გარეუბნები. № 3 შახტის მშრომელები შეიკრიბნენ მიტინგზე, რათა მრისხანე პროტესტი გამოეთქვათ ამერიკის მხედრიონის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ.

— ეს ბინძური ომი, — განაცხადა მიტინგზე შახტის უფროსმა გ. როინიშვილმა, — შეიძლება მსოფლიო კატასტროფად გადაიქცეს. ეს რომ არ მოხდეს, ბოლო რომ მოეღოს აგრესიისა და ძალადობის პოლიტიკას, მოელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა მტკიცედ მოითხოვს: „შეწყდეს ბარბაროსული ომი!“.

მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი მკაცრად გმობენ ამერიკის აღვირახსნილი მბედრიონის აგრესიას და მოითხოვენ ამერიკის ჯარების გაყვანას ვიეტნამიდან.

საკდესის ცნობა

ზესტაფონი ფეროშენადნობთა ქარხნის პირველი სამეცრალო კოლექტივმა, რომელსაც გამოცდილი იმენერი გ. გეველესიანი ხელმძღვანელობს, წელს 5 თვეში დაზოგა 85 ათასი მანეთის ნედლეული და დამბმალი მასალები, მათ შორის დაზოგილია 5.200 ტონა მანგანუმის მადანი, 220 ტონა კვარციტი, 760 ტონა კოქსი და სხვ. ნედლეულის ეკონომიით აქ ხუთ თვეში გამოშვებულია ასობით ტონა ზეგეგმითი ფეროშენადნობი.

სამკერეცლო მრავალი მოწინავე ადამიანია. ალსანიშნავია მეექვსე, და მეორე ღუმელების ამ ბრიგადების მუშაობა, რომელებსაც ხ. ბუცხრიკიძე, გ. ყანჩაველი, ს. გერულაშვილი, [illegible] სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. კობახიძე და ვ. ხუჯაძე ხელმძღვანელობენ. ამ ღუმელების კოლექტივებმა წლის დასაწყისიდან დაზოგეს მილიონ სამასი ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

პ. ნებიერიძე.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ახალი საამქრო

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ლითონფონის ქარხანაში მწყობრში ჩადგა ახალი ქიმიური სიმძლავრე — თუთიის დიდი საამქრო.

ახალი საამქრო თავისი წარმადობით მთლიანად დაკმაყოფილებს ქარხნის მოთხოვნილებას თუთიის აბაასაზე და უზრუნველყოფს ლითონფონის საჭირო რაოდენობით გამოშვებას.

თუთიის მძლავრი საამქროს დროულად დამთავრებისათვის ენერგიულად იშრომეს № 4 საერთო-საამშენებლო ტრესტის მე-9 სამმართველოს მშენებლებმა, ტრესტ „სოიუზმონტაჟსპეცმუშაოების“ ქ. ორჯონიკიძის სამმართველოს მემონტაჟეებმა, „საქშახტმონტაჟის“ და „პრომგენტლაციის“ ქუთაისის უბნების მუშაკებმა.

იზრდება ექსპორტი

საქართველო მსოფლიოს 65 ქვეყანაში გზავნის მოეწყლედობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას. ტრადიციულ. საქონელთან ერთად, როგორიცაა ჩაი, ციტრუსი, ღვინო, მინერალური წყალი, რესპუბლიკას ექსპორტში ახლა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლითონსაბრეკელი და სახეხ ჩარხებს, მაღაროს ელმავლებს, ფეროშენადნობებს, ფოლადის მილებს, წყალქვეშაფრენიან ტანსაცმლებსა და თბომაგლებს, ელექტროტექნიკურ მანქანებს... ამ ნაწარმთა ეკონომიურობა შვიდწლედში შეიქმნა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოს საექსპორტო მიწოდებათა ოთხკვარტალი 1965 წელს 1958 წელთან შედარებით 3,4-ჯერ გაზრდილა.

ეს მონაცემები იქნა დასახელებული საქართველოს საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელ საამრეწველო საწარმოთა მუშაკების რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც 4 ივლისს გაიხსნა თბილისში. თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საწარმოთა წარმომადგენლები.

მოხსენება 1965-1966 წლებში საქართველოს სსრ საწარმოთა მიერ საექსპორტო მიწოდებათა გეგმის შესრულების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რეწმენეზეულმა რ. ს. ელიგულაშვილმა.

რესპუბლიკის საწარმოთა მიერ დამზადებული საექსპორტო პროდუქციის ხარისხს, მიუძღვნა თავისი გამოსვლა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საექსპორტო სანონტროლო სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს ინჟინერ-ტექნიკოსი ბ. ბ. ბერეზინიანი.

ეს ბრიგადა ოქროს ბეჭედი მიიღო ბ. ბ. ბერეზინიანისა, ბ. ბ. ბერეზინიანი, ბ. ბ. ბერეზინიანი, ბ. ბ. ბერეზინიანი

ავაღლოთ პროპაგანდისტული მუშაობის დონე

საქართველოს პროპაგანდისტთა პირველ რესპუბლიკურ შეკრებაზე

ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ საყოველთაო პოლიტიკური და ზრდომითი აღმავლობის პირობებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი თავდადებული ზრდომით აზორციელებს პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს. ყრილობის დოკუმენტებსა და გადაწყვეტილებებში მეცნიერულად შემუშავებული და დასახულია ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეპოქაზე კომუნიზმის მშენებლობის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის პოზიციების განმტკიცების, მსოფლიო სოციალისტური სისტემის პოზიციებიდან განიხილა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და განსაზღვრა ჩვენი პარტიისა და მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობისათვის, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესებისა და საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის ახალი გამოხატულებაა XXIII ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ახალი ხუთწლედი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპია. ხუთწლედის მთავარი ეკონომიური ამოცანა ის არის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის, მთელი სახალგადოებრივი წარმოების ინტენსიურული განვითარების, მისი ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების ყოველმხრივი გამოყენების საფუძველზე უზრუნველყოთ მრეწველობის მნიშვნელოვანი ზრდა, სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი მყარი ტემპი და ამის წყალობით მივაღწიოთ ხალხის ცხოვრების დონის არსებით გაუმჯობესებას, საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას.**

კომუნიზმის მშენებლობის, პერიოდში სულ უფრო იზრდება პარტიის როლი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, სრულყოფილი ხდება მისი მუშაობის ფორმები და მეთოდები, მტკიცდება მასებთან კავშირი. XXIII ყრილობამ მთელი ძალით გაუსვა ხაზი იმას, რომ პარტიის მოღვაწეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური მშენებლობისა და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის გამოცდილების საფუძველზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებით განვითარებას, ბერეუზაციული იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებასთან ბრძოლას. რევოლუციური თეორიით რომ ხელმძღვანელობს, პარტიას საშუალება ეძლევა განადგილად მეცნიერულ საფუძველზე განაზორციელოს საზოგადოების გარდაქმნა, წარმატებით შეასრულოს საბჭოთა ხალხის ორგანიზატორისა და პოლიტიკური ხელმძღვანელის როლი.

ყრილობის რეზოლუციაში ნათლად არის განსაზღვრული თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის ოთხი ნაზგასმულია, რომ საკრძოა ყოველმხრივ სრულყოფილთ ამ მუშაობას. ყრილობამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა მარქსისტულ-ლენინური თეორიით მშრომელთა შეიარაღების უდიდესი მნიშვნელობა კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების პოლიტიკურ განათლებაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო განვლილი სასწავლო წელი. ეს წელი მიმდინარეობდა ისეთ ვითარებაში, როდესაც პარტია ამ მტკიცედ დაკმო სუბიექტივიზმი და ეოლუნტარიზმი, სახზოგადოების განვითარების მეცნიერული კანონების უგულებელყოფა. მნიშვნელოვან გარდაქმნას საჭიროებდა პოლიტიკური განათლების სისტემაც, რომელიც ძირითადი ფორმით და შინაარსით ვეღარ აკმაყოფილებდა კომუნისტებისა და უპარტიოების ინტერესებსა და მოთხოვნებს, არ შეესაბამებოდა მათს ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ დონეს. ამასთან საჭირო იყო მასების პოლიტიკური განათლება მკვეთრად შემობრუნებულიყო მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შესწავლისაკენ.**

შარშანდელი სასწავლო წლის დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ გაძლიერდა პარტიული ორგანიზაციების ყურადღება პარტიის წევრთა და კანდიდატთა მარქსისტულ-ლენინური მომზადებისადმი, უფრო მიზანსწრაფული და ქმედითი გახდა მათი სწავლება. პარტიულ ორგანიზაციებს საშუალება მიეცათ უფრო სრულად გაეთვალისწინებინათ ადგილობრივი პირობები, შემოქმედებითად გამოეყენებინათ სასწავლო პროგრამები და გეგმები. ყოველივე ამან უეჭველად დადებითად იმოქმედა პარტიული სწავლების სისტემაზე. კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის პოლიტიკური სწავლების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა. პარტიულ სწავლებაში ამჟამად გაერთიანებულია 266 ათასზე მეტი კაცი. შექმნილია 4.286 დაწყებითი პოლიტიკური სკოლა, 3.371 მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლა, 2.858 თეორიული, მეთოდოლოგიური და საპრობლემო სემინარი. შექმნილია მარქსიზმ-ლენინიზმის 6 უნივერსიტეტი. მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიული სწავლების სისტემისათვის პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას. ამჟამად დაწყებითი პოლიტსკოლების, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების ლექტორებად, სემინარების ხელმძღვანელებად მუშაობს 17 ათასი პროპაგანდისტი. თითქმის ყველა მათგანს აქვს უმაღლესი განათლება.

ეს იდეოლოგიური ფრონტის დიდი არმიაა, ჩვენი პარტიის ოქროს ფონდია, რომელიც უანგაროდ ემსახურება საბჭოთა ადამიანებში კომუნისტური მსოფლმხედველობის, კომუნისტური შეგნებულობის ჩამოყალიბებას. გასულ სასწავლო წელს მნიშვნელოვნად მრავალფეროვანი გახდა ფორმა გაზდა პროპაგანდისტული კადრების შემადგენლობა. რესპუბლიკის პარტიული, სამეურნეო, სამეცნიერო და პედაგოგიური ინტელიგენცია სულ უფრო აქტიურად ებმება პროპაგანდისტულ საქმიანობაში.

ამჟამად პარტიული ხელმძღვანელების უმრავლესობა ჩაბმულია მასების პოლიტიკური განათლების საქმეში როგორც პროპაგანდისტი, სემინარის, სკოლის ხელმძღვანელი, ლექტორი. მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური წრთობის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ბოლშევიკთა ძველი გვარდიის წარმომადგენლებს, რევოლუციის ვეტერანებს. ბევრი მათგანი ამ საქმეს დღესაც ახალგაზრდული ენერგიით აჰბარს თავის ცოდნასა და გამოცდილებას.

მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი ხელმძღვანელი მუშაკები, მათ შორის იდეოლოგიური დარგის მუშაკებიც, რომლებიც თვიდან თვემდე, ხოლო ზოგჯერ წლიდან წლამდე არ გამოდიან მშრომელთა წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით, ლექციებით, საუბრებით. ზოგი მათგანი დროის უქონლობით იმართლებს თავს.

პროპაგანდისტული კადრების ძირითად ბირთვს ჩვენში სამეცნიერო და პედაგოგიური ინტელიგენცია წარმოადგენს. მათ შორის არიან თვალსაჩინო მეცნიერები, პროფესორები ი. მიქელაძე, ვ. მამასახლისოვი, გ. ყვანია, ს. საკაშვილი და სხვები. ჩვენში მტკიცედ იკიდებს ფეხს ისეთი პრაქტიკა, როდესაც საწარმო დაწესებულებებში პროპაგანდისტებად მიიჩნევ უმაღლეს სასწავლებელთა კათედრების წევრები. გასულ სასწავლო წელს სწავლების ახალმა სისტემამ პროპაგანდისტებს საშუალება მისცა ფართოდ გამოემეღავნებინათ თავიანთი საუძლებლობანი, სრულად გამოეყენებინათ ის მეთოდური ხერხები, რაც წლების მანძილზე ჰქონდათ გამომუშავებული. პროპაგანდისტები ამჟამად უფრო აქტიურად იყენებენ თვალსაჩინოების საშუალებებს, აწყობენ კოლექტიურ დასწრებას ისტორიულ-რევოლუციურ კინოფილმებზე.

საინტერესო სიახლე დაინერგა დაწყებითი პოლიტსკოლების მუშაობაში. პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლისა და ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ინიციატივით ამ სკოლების მსმენელთა ნაწილი დიდი ბელადის ბიოგრაფიის სწავლობდა უშუალოდ ლენინის მუზეუმის სტენდებთან სათანადო თავების მიხედვით. თბილისის პარტიული ორგანიზაციების მაგალითით სწავლების ეს ფორმა რესპუბლიკის მრავალი სხვა ქალაქისა და რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმაც გამოიყენეს. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის მორეული რაიონების მსმენელების საშუალება არ ჰქონდათ ჩამოსულიყვნენ თბილისში და ესარგებლათ მუზეუმის ექსპონატებით. ამიტომ მხარდაჭერის ღირსია პარტიის თეთრი წყაროს რაიონული კომიტეტის ინიციატივა, რომ რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების ყველა სახლსა და კაბინეტში მომავალი სასწავლო წლისათვის შექმნან ლენინის ოთახები ან კუთხეები. ეს მართლაც დიდად შეუწყობს ხელს ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის საფუძვლიან შესწავლას პარტიული განათლების ქსელში და ამავე დროს იქნება ერთგვარი წვლილი დიდ ბელადის დაბადების ასი წლისთავისათვის მზადებაში.

პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები პროპაგანდისტული მუშაობის ცენტრებს წარმოადგენენ. მათს უნარიან, ქმედითს მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული პარტიული სწავლების წარმატება. ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესეს მუშაობა პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა. მათი მუშაკები, მეთოდური საბჭოების წევრები და შტატგარეშე კონსულტანტები უფრო აქტიურად ეხმარებიან პროპაგანდისტებს მეთოდურ დახელოვნებაში. ამ მხრივ წარმატება აქვს პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლს, რომელიც, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს, პროპაგანდისტთა ნამდვილ მეთოდურ შტაბად იქცა. პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა გასულ სასწავლო წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა იმისთვის, რომ განმტკიცებინა რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების ურთიერთკავშირი. პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის კოლექტივის კარგი წამოწყებაა საზოგადოებრივ საწყისებზე მეთოდური ბიულეტენის გამოცემა, რომელმაც სულ მოკლე დროში მკითხველთა დიდი სიყვარული და მოწონება დაიმსახურა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია, ხაზს უსვამს ამხ. სტურუა, ჯეროვნად როდი აფასებს პარტიული განათლების კაბინეტების საქმიანობას. ზოგიერთი კაბინეტი მოთავსებულია შეუფერებელ, ვიწრო და ბნელ შენობაში. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ყოველმხრივ გაუმჯობესონ სახლებისა და კაბინეტების მუშაობა, საქმე ისე უნდა წარმართოთ, რომ პარტიული განათლების სახლებისა და კაბინეტების მუშაკები ყოველდღიურად გრძნობდნენ პარტიული ხელმძღვანელობის მხარდაჭერას, ზრუნვას.

პარტიული პროპაგანდის საკითხებისადმი ყოველდღიური, შეუნელებელი ზრუნვა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ღვიძლი საქმეა. ისინი მოწოდებული არიან ყველა ღონისძიებით განამტკიცონ პარტიული განათლების სისტემა, მუდმივი კონტროლი დაუწესონ მის მიმართ, დაეხმარონ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე წარმართონ მშრომელთა პოლიტიკური წრთობა.

მომხსენებელი ლაპარაკობს პროპაგანდისტთა სწავლებისა და გადამზადების საკითხზე და აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს დასაძლევი. არ არის საკმარისი ვეძებთ პროპაგანდისტებთან მუშაობის ახალი ფორმები, საჭიროა მკვეთრად გავამაღლოთ პროპაგანდისტთა სემინარების, კურსების, სკოლების მუშაობის ხარისხი. ამ საქმეში საჭიროა მოვიზიდოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სპეციალისტები, მცოდნე და გამოცდილი მეთოდისტები. სრულიად დაუშვებელია პროპაგანდისტთა გადატვირთვა სხვა დავალებებით. პარტიული ორგანიზაციის მდივანი, რომელიც ამ გარემოებას არ ითვალისწინებს, სერიოზულ შეცდომას სჩადის. ეს პრაქტიკა გადაჭრით უნდა აღიკვეთოს.

მშრომელთა პოლიტიკური განათლების საქმეს დიდად აფერხებს სახელმძღვანელოების უქონლობა საერთოდ და ქართულ ენაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებით ახლა დიდი მუშაობა წარმოებს ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების ქსელი საჭირო სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველსაყოფად. პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი გამოსაცემად ამზადებს ვრცელ კრებულს, სადაც გამოქვეყნდება ჩვენი რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერთა წერილები პარტიული პროპაგანდის მეთოდიკის საკითხებზე.

დამთავრდა სასწავლო წელი პარტიული სწავლების სისტემაში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეამყვიტოთ მუშაობა. პარტიული კომიტეტები ახლავე უნდა შეუდგნენ მომავალი სასწავლო წლისათვის მზადებას. პროპაგანდისტები კვლავაც უნდა განაგრძობდნენ საკუთარ თავზე მუშაობას, ადგენდნენ მომავალ მეცადინეობათა გეგმებს. ამასთან ალარ უნდა გავიმეოროთ ის ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი ჰქონდა სწავლების პირველ წელს.

პარტიული ორგანიზაციების უპირველესი გადაუდებელი ამოცანაა — ამოცანაა — ამთავითვე იზრუნონ პროპაგანდისტთა კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის. სწორად იქცევიან ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ამთავითვე იშვერენ თავდრიგს პროპაგანდისტთა მოსამზადებლად.

დასასრულ ამხ. სტურუა ამბობს: პოლიტიკური განათლება ისე უნდა მოვაწყოთ, რომ იგი ვაქცეოთ ადამიანთა შინაგან მოთხოვნილებად, მათი შემოქმედების და, თუ გნებავთ, სიხარულის წყაროდ. ამ საქმეში პირველი სიტყვა ეკუთვნის პროპაგანდისტებს.

ამოსავლის პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით შეფარალებული საბჭოთა ხალხი, — ამბობს ბათუმის რაიონის ჩხუტუნეთის საშუალო სკოლის დირექტორი, პროპაგანდისტი **ვ. კახიძე,** — დიდ წარმატებას აღწევს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობას, მის უნარიანად წარმართვას. ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია და აკეთებს კიდეც პოლიტიკური განათლების სისტემა.

ბათუმის რაიონის 34 დაწყებითი ტიპის პოლიტსკოლაში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების 24 სკოლაში, 30 თეორიული და საპრობლემო სემინარში და 73 საკონსულტაციო ჯგუფში, აგრეთვე პარტიის რაიკომთან შექმნილი აქტივის სკოლაში ორგანიზებულად დამთავრდა სასწავლო წელი. ყველა პარტიული ორგანიზაციებმაც გამოიყენეს. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის მორეული რაიონების მსმენელების საშუალება არ ჰქონდათ ჩამოსულიყვნენ თბილისში და ესარგებლათ მუზეუმის ექსპონატებით. ამიტომ მხარდაჭერის ღირსია პარტიის თეთრი წყაროს რაიონული კომიტეტის ინიციატივა, რომ რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების ყველა სახლსა და კაბინეტში მომავალი სასწავლო წლისათვის შექმნან ლენინის ოთახები ან კუთხეები. ეს მართლაც დიდად შეუწყობს ხელს ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის საფუძვლიან შესწავლას პარტიული განათლების ქსელში და ამავე დროს იქნება ერთგვარი წვლილი დიდ ბელადის დაბადების ასი წლისთავისათვის მზადებაში.

პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები პროპაგანდისტული მუშაობის ცენტრებს წარმოადგენენ. მათს უნარიან, ქმედითს მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული პარტიული სწავლების წარმატება. ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესეს მუშაობა პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა. მათი მუშაკები, მეთოდური საბჭოების წევრები და შტატგარეშე კონსულტანტები უფრო აქტიურად ეხმარებიან პროპაგანდისტებს მეთოდურ დახელოვნებაში. ამ მხრივ წარმატება აქვს პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლს, რომელიც, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს, პროპაგანდისტთა ნამდვილ მეთოდურ შტაბად იქცა. პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა გასულ სასწავლო წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა იმისთვის, რომ განმტკიცებინა რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების ურთიერთკავშირი. პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის კოლექტივის კარგი წამოწყებაა საზოგადოებრივ საწყისებზე მეთოდური ბიულეტენის გამოცემა, რომელმაც სულ მოკლე დროში მკითხველთა დიდი სიყვარული და მოწონება დაიმსახურა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია, ხაზს უსვამს ამხ. სტურუა, ჯეროვნად როდი აფასებს პარტიული განათლების კაბინეტების საქმიანობას. ზოგიერთი კაბინეტი მოთავსებულია შეუფერებელ, ვიწრო და ბნელ შენობაში. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ყოველმხრივ გააუმჯობესონ სახლებისა და კაბინეტების მუშაობა, საქმე ისე უნდა წარმართოთ, რომ პარტიული განათლების სახლებისა და კაბინეტების მუშაკები ყოველდღიურად გრძნობდნენ პარტიული ხელმძღვანელობის მხარდაჭერას, ზრუნვას.

პარტიული პროპაგანდის საკითხებისადმი ყოველდღიური, შეუნელებელი ზრუნვა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ღვიძლი საქმეა. ისინი მოწოდებული არიან ყველა ღონისძიებით განამტკიცონ პარტიული განათლების სისტემა, მუდმივი კონტროლი დაუწესონ მის მიმართ, დაეხმარონ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე წარმართონ მშრომელთა პოლიტიკური წრთობა.

მომხსენებელი ლაპარაკობს პროპაგანდისტთა სწავლებისა და გადამზადების საკითხზე და აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს დასაძლევი. არ არის საკმარისი ვეძებთ პროპაგანდისტებთან მუშაობის ახალი ფორმებსა, საჭიროა მკვეთრად გავამაღლოთ პროპაგანდისტთა სემინარების, კურსების, სკოლების მუშაობის ხარისხი. ამ საქმეში საჭიროა მოვიზიდოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სპეციალისტები, მცოდნე და გამოცდილი მეთოდისტები. სრულიად დაუშვებელია პროპაგანდისტთა გადატვირთვა სხვა დავალებებით. პარტიული ორგანიზაციის მდივანი, რომელიც ამ გარემოებას არ ითვალისწინებს, სერიოზულ შეცდომას სჩადის. ეს პრაქტიკა გადაჭრით უნდა აღიკვეთოს.

მშრომელთა პოლიტიკური განათლების საქმეს დიდად აფერხებს სახელმძღვანელოების უქონლობა საერთოდ და ქართულ ენაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებით ახლა დიდი მუშაობა წარმოებს ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების ქსელი საჭირო სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველსაყოფად. პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი გამოსაცემად ამზადებს ვრცელ კრებულს, სადაც გამოქვეყნდება ჩვენი რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერთა წერილები პარტიული პროპაგანდის მეთოდიკის საკითხებზე.

დამთავრდა სასწავლო წელი პარტიული სწავლების სისტემაში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეამყვიტოთ მუშაობა. პარტიული კომიტეტები ახლავე უნდა შეუდგნენ მომავალი სასწავლო წლისათვის მზადებას. პროპაგანდისტები კვლავაც უნდა განაგრძობდნენ საკუთარ თავზე მუშაობას, ადგენდნენ მომავალ მეცადინეობათა გეგმებს. ამასთან ალარ უნდა გავიმეოროთ ის ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი ჰქონდა სწავლების პირველ წელს.

პარტიული ორგანიზაციების უპირველესი გადაუდებელი ამოცანაა — ამთავითვე იზრუნონ პროპაგანდისტთა კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის. სწორად იქცევიან ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ამთავითვე იშვერენ თავდრიგს პროპაგანდისტთა მოსამზადებლად.

დასასრულ ამხ. სტურუა ამბობს: პოლიტიკური განათლება ისე უნდა მოვაწყოთ, რომ იგი ვაქცეოთ ადამიანთა შინაგან მოთხოვნილებად, მათი შემოქმედების და, თუ გნებავთ, სიხარულის წყაროდ. ამ საქმეში პირველი სიტყვა ეკუთვნის პროპაგანდისტებს.

ამოსავლის პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით შეფარალებული საბჭოთა ხალხი, — ამბობს ბათუმის რაიონის ჩხუტუნეთის საშუალო სკოლის დირექტორი, პროპაგანდისტი **ვ. კახიძე,** — დიდ წარმატებას აღწევს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობას, მის უნარიანად წარმართვას. ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია და აკეთებს კიდეც პოლიტიკური განათლების სისტემა.

ბათუმის რაიონის 34 დაწყებითი ტიპის პოლიტსკოლაში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების 24 სკოლაში, 30 თეორიული და საპრობლემო სემინარში და 73 საკონსულტაციო ჯგუფში, აგრეთვე პარტიის რაიკომთან შექმნილი აქტივის სკოლაში ორგანიზებულად დამთავრდა სასწავლო წელი. ყველა პარტიული ორგანიზაციებმაც გამოიყენეს. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის მორეული რაიონების მსმენელებს საშუალება არ ჰქონდათ ჩამოსულიყვნენ თბილისში და ესარგებლათ მუზეუმის ექსპონატებით. ამიტომ მხარდაჭერის ღირსია პარტიის თეთრი წყაროს რაიონული კომიტეტის ინიციატივა, რომ რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების ყველა სახლსა და კაბინეტში მომავალი სასწავლო წლისათვის შექმნან ლენინის ოთახები ან კუთხეები. ეს მართლაც დიდად შეუწყობს ხელს ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის საფუძვლიან შესწავლას პარტიული განათლების ქსელში და ამავე დროს იქნება ერთგვარი წვლილი დიდ ბელადის დაბადების ასი წლისთავისათვის მზადებაში.

ჩვენს მამამენელებს ხშირად ვესაუბრებით მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების როლსა და მნიშვნელობაზე, მაგრამ საუბარი რომ გასაგები და დამაჯერებელი იყოს, აღნიშნავს ორატორი, ჩვენ გადაეწყვიტეთ ეს გვეჩვენებინა ნავსადგურის კოლექტივის მაგალითზე. ჩვენმა აქტივმა შეისწავლა ნავსადგურის საანგარიშო-საფინანსო დოკუმენტები, ესაუბრა ნავსადგურის მუშაკებს, გაითვალისწინა ყველა ის დახმარება, რომელსაც ისინი ღებულობენ უშუალოდ საწარმოსაგან. მივიღეთ მეტად საინტერესო თვალსაჩინო და დამაჯერებელი მასალა. ნავსადგურელთა პირადი მოთხოვნილება ხელფასს გარდა, საწარმოს საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე კმაყოფილდება დაახლოებით 25 პროცენტით. ეს მასალა შესაბამისი განმარტებებითა და დასკვნებით გავამრავლეთ და დავურიგეთ ყველა პროპაგანდისტს, რაც მეტად ქმედითი დახმარება აღმოჩნდა მათთვის.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლის გამგე **ვ. კაკაბავა.**

— პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა, — ამბობს იგი, — საოლქო სახლებმა და პოლიტიკური განათლების კაბინეტებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს პროპაგანდისტების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის. შემუშავებულია და ხორციელდება პროპაგანდისტთა კადრების მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებათა მთელი სისტემა, მათთვის თეორიული და მეთოდიური დახმარების გაწევის ღონისძიებანი. რესპუბლიკის პროპაგანდისტებს კარგ დახმარებას უწევს ჟურნალი „მეთოდური ბიულეტენი“, რომელიც გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლთან. ამ ჟურნალმა პროპაგანდისტების დიდი მოწონება ვამოიხატა.

პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი პარტიის რაიკომებთან, რესპუბლიკური და საქალაქო გაზეთების პროპაგანდის განყოფილებებთან, პარტიის ისტორიის ინსტიტუტთან, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კადრებთან ერთად აზორაცელებდა მნიშვნელოვან ღონისძიებებს პოლიტიკური. სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. პროპაგანდისტებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რომლებმაც ქართულ ენაზე გამოსცეს დიდძალი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა.

ამხ. კაკბარაკი ლაპარაკობს პროპაგანდისტთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე და აღნიშნავს, რომ პროპაგანდისტების სწავლების არსებული სისტემა, უეჭველია, კარგ შედეგებს იძლევა. მაგრამ ჩვენ მიერ მოწყობილი ყველა კურსი და სემინარი ვერ მოიცავს პროპაგანდისტთა უმეტესობას. ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება შეიმუშავებდა პროპაგანდისტების დამოუკიდებელი, ასე ვთქვათ, დაუსწრებელი მომზადების მეთოდურად დასაბუთებულ პროგრამას. კარგი იქნება თუ უმაღლესი პარტიული სკოლა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია მოამზადებენ პარტიული პროპაგანდის მეთოდიკის მაღალკვალიფიციურ პროპაგანდისტებს და მათ საშუალოდ გაგზავნიან პირველ რიგში პოლიტიკური განათლების სახლებში. იქ მეცადინეობენ ამაღლებს ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის დონეს და ხარისხს.

„მეთოდური ბიულეტენის“ ხარისხს გაუმჯობესებისა და გამოცემის ორგანიზაციის უკეთ მოწყობის მიზნით ორატორი აყენებს წინადადებას გამოინახოს თუნდაც ერთი საშტატო ერთეული ამ ჟურნალისათვის.

თელავის რაიონის წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემათა შემსწავლელი სემინარის ხელმძღვანელი **გ. ბოგველიშვილი** აშუქებს ამ სემინარის მუშაობას. მან აღნიშნა, რომ სასწავლო წელი სემინარმა კარგი შედეგებით დაამთავრა. შემაჯამებელმა მეცადინეობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა მასში გაერთიანებული კომუნისტების მაღალი შემოქმედებითი აქტივობა და დიდი მისწრაფება პარტიული საკითხების შესწავლისადმი.

— როგორც ცნობილია, აღნიშნავს ორატორი, წინა წლებში პარტიული სწავლების სისტემაში დამკვიდრებული იყო არასწორი პრაქტიკა, როცა თეორიული საკითხების საფუძვლიანსა და ღრმად შესწავლას შედარებით ნაკლები ყურადღება ეჰქცოდა. მას ცვლიდა ეგრეთწოდებული პროფესიულ-ტექნიკური სწავლებით გატაცება. ასეთი ცალმხრივობა ახლა აღკვეთილია. პოლიტიკური მეცადინეობის მეთოდიკა ამჟამად საკმაოდ კარგად არის დამუშავებული და პროპაგანდისტთა საკუთრებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, როგორც ყველა ახალ საქმეს, მასაც თანამიმდევრული სრულყოფა ესაჭიროება. საჭიროა პროპაგანდისტებმა გამოვიჩინოთ დიდი სიფრთხილე, რომ მეორე უკიდურესობაში არ აღმოჩნდეთ — თეორიულმა სწავლებამ თვითმიზნური, განყენებული ხასიათი არ მიიღოს.

პროპაგანდისტმა ისე უნდა წარმართოს მეცადინეობა, რომ მსმენელი არა მარტო იზეპირებდეს თეორიულ დებულებებს, არამედ მათი გამოყენების გზებსა და საშუალებებს ხედავდეს შრომაში, პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ მხრივ სანიმუშოა წინანდლის საბჭოთა მეურნეობის პირველი აგრონომის უფროსის, სოციალისტური შრომის გმირის ბიძინა ბატიაშვილის რეფერატი — სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური დონე და დაგროვების ტემპები. ბ. ბატიაშვილმა შინაარსიანად ისაუბრა ისეთ საკითხებზე, როგორიც არის სოციალისტური სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოების ზრდის საშუალებები, მოგების, რენტაბელობის გზები და სხვა. მან უამბო მსმენელებს ეგრეთვე იმ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომელიც ხორციელდება აგროტუბანში ყურძნის უხვი მოსავლის მოსაყვანად. ამით მეცადინეობა კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდა.

— ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული თეორიით და ყოველმხრივ აანალიზებს რა სოციალისტური ეკონომიკის ობიექტურ განვითარებასა და მასების მოთხოვნილებებს, — ამბობს ლენტეხის რაიონის სოფელ ხუფურის რვაწლიანი სკოლის დირექტორი, ფილოსოფიის საკითხთა შემსწავლელი სემინარის ხელმძღვანელი **ბ. კობალიანი,** — ჩვენი პარტია ლენინურად გაბედულად წყვეტს კომუნისტური მშენებლობის მომწიფებულ ამოცანებს. საქმისადმი ასეთი მიდგომის ახალი მაგალითია ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მაისის პლენუმი, რომელმაც განიხილა მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოყვანისათვის მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების საკითხი და მიიღო ამ საკითხზე სპეციალური დადგენილება. ეს და სხვა დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტები ავალებს ყველა კომუნისტს, მთელ საბჭოთა ხალხს მთელი ძალა და ენერგია მოახმარონ კომუნიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში. პარტიის წინასწარდასახულებათა განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის პოლიტიკურ განათლებას, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებით მათ შეიარაღებას. ამ მხრივ ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება პოლიტიკური განათლების სისტემას.

ორატორი აშუქებს იმ სემინარის მუშაობას, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობს. სემინარის ყველა წევრი, ამბობს იგი, ასრულებს საზოგადოებრივ დავალებებს, ისინი ეწევიან საგაგიტაციო მუშაობას და სხვა საინტერესო ღონისძიებებს, მაგრამ ეს სრულიად არ უშლის მათ ხელს ღრმად დაეუფლონ პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს, პოლ

საერთაშორისო სავაჭრო მომსახურება სოფლის მშრომელებს!

დავიმსახურებთ მომხმარებლის მადლობას

დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში ასე ამაღლდა ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობების დონე, ცხოვრება, დიდად გაიზარდა ვაჭრობის მუშაკების როლიც. დღეგანდელი მომხმარებელი მეტად მომთხოვნელია.

ეს კარგად აქვთ შეგნებული გარდაბნის რაიონის კოოპერაციის მუშაკებს. ისინი ძალასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ მომხმარებელი კმაყოფილი ჰყავდეთ. მონდომებამ, დაძაბულმა მუშაობამ ნაყოფიც შესაფერი გამოიღო. ამჟამად გარდაბნის რაიკოოპერაციაში ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. მეოთხე წელია დიდი გადაჭარბებით სრულდება საქონლეკრუნვის კვარტალური და წლიური გეგმები. ამასთან მოწეულია სრული რიტმულობა — 1963 წლის იანვრიდან მოყოლებული არ ყოფილა თვე, ჩავარდნა რომ გვქონოდეს გეგმების შესრულებაში.

მიმდინარე წელს რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში განსაკუთრებით მაღალი ტემპით ვითარდება ვაჭრობა და საქონლის მიმოქცევა. არასრული მონაცემებით 1966 წლის პირველი ნახევრის ვაჭრობის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, გასულ წელს შესაბამის პერიოდთან შედარებით სოფლის მომხმარებელს მიეყიდა 731 ათასი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი. ჯერ საბოლოოდ შეჯამებული არ არის მოგების გეგმის შესრულების მაჩვენებლები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ კვარტალში მოგება გეგმით ნავარაუდევზე თითქმის ორჯერ მეტი იყო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოგების ნახევარი წლის დავალებაც დიდი გადაჭარბებით შესრულდება. მიღებულია ათეულ ათასობით მანეთი ეკონომია მიმოქცევის ხარჯებში. მინიმუმამდე დავიყვანეთ დანაკარგები.

სოფლის მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების გათვალისწინებით რაიონში ყოველწლიურად ფართოვდება სამომხმარებლო კოოპერაციის ობიექტების ქსელი. უკანასკნელ წელიწადნახევარში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ტიპის უნივერსალური მაღაზია კრწანისში, ამუშავდა პურის საცხობები გარდაბანსა და დიღომში, ახალი მაღაზიები, სავაჭრო ფარდულები და პავილიონები გაიხსნა შინდისში, ნორიოში, გლდანში, დიღომში, კოჯორში, მუღანლოში, სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე. მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება და გაფართოვდება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობის ტემპი და მოცულობა. რაიონულ ცენტრში — დაიწყო დიდი სავაჭრო ობიექტის მშენებლობა, რომლის სამშენებლო ღირებულება 300 ათას მანეთზე მეტი იქნება. იგი 1967 წლის ბოლოს უნდა დამთავრდეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ თბილისის საგარეუბნო კურორტების მომსახურებას. უკანასკნელ ხანს კურორტების ზონაში საზოგადოებრივი კვებისა და საცალო ვაჭრობის რამდენიმე ობიექტი გავხსენით. ამჟამად ბეთანიაში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მშენებლობა პურის საცხობისა, რომელსაც შეუძლია დღეში 15 ტონა პური გამოაცხოს.

რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში სულ უფრო ფართოდ ინერგება ვაჭრობის ახალი პროგრესული ფორმები და მეთოდები. თითქმის ყველა მსხვილ მაღაზიაში დანერგილია საქონლის ნიმუშებითა და განვადებით ვაჭრობა. გრძელდება სავაჭრო ქსელის სპეციალიზაცია. ეს გამართლებულია ეკონომიურად, უკეთესია მომხმარებელთა მომსახურებისათვის.

მიღწევები გაცილებით მეტი გვექნებოდა, რომ არ არსებობდეს ზოგიერთი შემაფერხებელი მიზეზი, რომელთა აღმოფხვრა დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული. ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული საკითხია ტრანსპორტის ნაკლებობა. საქმე ის არის, რომ რაიონს სავაჭრო ქსელი დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი, ამიტომ ადგილებზე საქონლის დროულად მიწოდებისათვის საჭიროა სპეციალიზებული მოხერხებული ტრანსპორტი. ამას კი თითქმის მოკლებული ვართ. სულ რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ორი სპეციალიზებული მანქანა გვაქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მინდვრიდან მაღაზიაში მისატანად.

ნაკლოვანებები გვაქვს აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ობიექტებით მინდვრად მომუშავე კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა მომსახურების საქმეში. აქაც მთავარი დაბრკოლება ტრანსპორტია.

დღეს იხსნება საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XV ყრილობა. მოხარული ვარ, რომ ჩვენი რაიონის კოოპკავშირი ახალი წარმატებით ხვდება ამ მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი რესპუბლიკის კოოპერატორთა ცხოვრებაში.

ოლია დუნდუა.

გარდაბნის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

მყიდველი ქმაყოფილი რომ იყოს

ᲘᲛ დიდ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში, რაც პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღდა, თავიანთი წვლილი შეაქეთ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებს.

ახლა თვითეული ჩვენგანის მთელი მუშაობა გამსქვალული უნდა იყოს საბჭოთა ადამიანისათვის, სოფლის მომხმარებლისათვის შეუნელებელი ზრუნვით. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მყიდველი მუდამ კმაყოფილი იყოს.

ითვალისწინებენ რა ყოველივე ამას, წყალტუბელი კოოპერატორები გულდასმით სწავლობენ მომხმარებელთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს, ყოველდღიურად ზრუნავენ ამ მოთხოვნების სწორფად და აუცილებლად დაკმაყოფილებისათვის.

ამ უკანასკნელ ხანს წყალტუბოს რაიკოოპკავშირის სისტემაში გადაჭრით გაუმჯობესდა ვაჭრობის ორგანიზაცია, ფართო გასაქანი მიეცა ახალი, პროგრესული ფორმების დანერგვას, საქონლის ლია გამოფენითა და განვადებით გაყიდვას, სავაჭრო ობიექტებში საქონლის ცენტრალიზებული რგოლური წესით შემოზიდვას.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მოლიანად რეალიზებული საქონლის 6 პროცენტი განვადებით გაიყიდა, ვაჭრობა შეზამებული გვაქვს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოებასთან. **შემოღებულია მინდვრებსა და ჩაის პლანტაციებში სასურსათო და პირველი მოთხოვნილების საქონლის ავტოდუქნებით გატანა. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უშუალოდ ფართობებში მოეწყო საველე ტიპის სასადილოები და სამზარეულოები, აგრეთვე უგამყიდველო ფარდულები და კარადები.**

ყოველივე ამან კეთილისმყოფლად იმოქმედა წყალტუბოელ კოოპერატორთა მთელ საგეგმო-ეკონომიურ საქმიანობაზე.

რაიკოოპკავშირის კოლექტივმა საცალო საქონელბრუნვის, პაის დაგროვების, მოსახლეობის კოოპერირების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მეორადი ნედლეულის დამზადება — შესყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის **დავალებები 27 მარტისათვის შესრულა, ხოლო წლის პირველი ნახევრისა — 25 ივნისისათვის.**

1966 წლის პირველ ნახევარში სოფლის მოსახლეობას მიეყიდა 470.700 მანეთით მეტი ღირებულების სამრეწველო და სასურსათო საქონელი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ჩვენი საქმიანობა როგორც სარკეში, ისე აისახა ყოველთვიურ ბალანსებში. **მოგების ნახევარწლიური გეგმა ჯერ კიდევ ხუთ თვეში შევასრულეთ და 68 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მივიღეთ, მიმოქცევის ხარჯები გეგმასთან შედარებით 8 ათასი მანეთით შევამცირეთ,** ხოლო დებიტორული დავალიანება მინიმუმამდეა დაყვანილი.

ისიც უნდა ითქვას, რომ ზენორმატიული საქონლის ნაშთი მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით 50 ათასი მანეთით შევამცირეთ, კაღრებთან მუშაობის გაუმჯობესების გზით ქსელში მთლიანად აღმოიფხვრა გაფლანგვა-დატაცების ფაქტები.

საერთო წარმატებაში განსაკუთრებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს წყალტუბოსა და ქვიტირის სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებებმა (გამგეების თავმჯდომარეები თ. გუბელაძე და თ. ჭოღოშვილი), რაიუნივერმაღაზიის „სათაფლიის“ (დირექტორი ვ. ბობოხიძე), ავტომანაქანების სათადარიგო ნაწილების მაღაზიის (გამგე ვ. ბახტაძე), კულტმაღაზიის (გამგე კ. გოგინოვი), მაღლაკის სოფლის უნივერმაღაზიის (გამგე ს. კიკნაველიძე) მუშაკებმა.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XV ყრილობას ასე კარგი მაჩვენებლებით რომ ხვდებიან, წყალტუბოელ კოოპერატორებს ერთი წუთითაც არ ავიწყდებათ, რომ ვაჭრობის კულტურის შემდგომი ამაღლება, მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება მათი ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

გ. კუხალეიშვილი,
წყალტუბოს რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

სურათზე: *მცხეთის რაიკოოპკავშირის ახალი უნივერსალური მაღაზია.*

ფოტო გ. გოგოხიასი.

ღირსების საქმე

— გთხოვთ მოგვცეთ საჩიჯრის წიგნაკი.

— რა უნდა მიჩივლოთ?

— პირიქით, მადლობა უნდა ჩაგწეროთ, უნარი ვეგიქოთ.

ხშირად შეხვდებით ასეთ საუბარს ყვარლის სამეუნიერეო საქონლის მაღაზიაში. მართლაც და ბევრი რამე აქვს სამადლობელი გამყიდველ შარმაზან მზექალაშვილს. 35 წელზე მეტია, რაც იგი გულწრფელად, უანგაროდ ემსახურება მომხმარებლებს. „მომხმარებლები მოითხოვენ“, ასე აქვს დაალთურებული რვეული, სადაც წერს იმ საქონელს, რომელიც ხალხს სჭირდება და მაღაზიას არ გააჩნია. გურჯაანი, თბილისი. ყველგან მოინახულებს ბაზებს, საწყობებს. შეარჩევს საქონელს, და მომხმარებელს ახარებს. გეგმებს ყოველთვის გადამეტებით ასრულებს. წონა-ზომაში მოტყუება მისთვის უცხოა.

რაიონის მოსახლეობას 250-მდე დახლის მუშაკი ემსახურება. მათგან ბევრი ემეგზურება მზექალაშვილს, ზ. კობიაშვილი, შ. ფოჩხიძე, გ. ითმაშვილი, ვ. ბიქოეკა, მ. პაკაცოშვილი, რ. ზაალიშვილი, რ. პაგლიაშვილი, მ. ბერიკიშვილი, ბ. დომელიშვილი, გ. როზომაშვილი, ლ. ბურდიაშვილი და სხვ.

დახლის მუშაკთა სიბეჯითის შედეგია, რომ ყვარლის რაიონის მომხმარებელთა საზოგადოება წარმატებით ასრულებს მიცემულ დავალებას. მიმდინარე წლის ძმკს თვეში მოსახლეობას 2.902 ათასი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი მიეყიდა. ეს შეადგენს 379.900 მანეთით აღემატება. განსაკუთრებით ბევრი საქონელი ყიდება ახლად გახსნილ ობიექტებში. ყვარლის უნივერსალურმა მაღაზიამ, რომელიც სამი თვის წინათ გაიხსნა, უკვე 209 ათასი მანეთის საქონელი გაყიდა. მყიდველები არ ელოდა აგრეთვე ნახევარფაბრიკატების მაღაზიაში, რომელიც წელს გაიხსნა.

რაიკოოპკავშირის მუშაკებს სხვაც ბევრი რამე აქვთ საამაყო. პირველი ივნისისათვის შარშან ამავე პერიოდთან შედარებით საქონლის ზენორმატიული ნაშთი 51 ათასი მანეთით შემცირდა. ძმკს თვეში 65.700 მანეთი მოგება უნდა გვქონოდა. შეატიურად ხუთ თვეში 79 ათასი მანეთი მოვიგეთ. მიმოქცევის ხარჯები 3.500 მანეთით შემცირდა. უკანასკნელ ოთხ წელიწადში რაიონის სავაჭრო ქსელში გაფლანგვა არა ყოფილა.

დიდი ყურადღება ექცევა სავაჭრო ქსელის ზრდას. შარშან მომხმარებელთა საზოგადოებას ათამდე ობიექტი შეემატა. წელს გაცილებით მეტი იქნება. ენისელსა და ახალსოფელში სასადილოები შენდება. რაიონის ცენტრში დამთავრდა პურის მექანიზებული საცხობის მშენებლობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ ვაჭრობის მუშაკებს გრანდიოზული ამოცანები დაუსახა. ამ ამოცანების სასახელოდ შესასრულებლად ყვარელის რაიკოოპკავშირის მუშაკებმა მთელი ძალ-ღონის დაძაბვით მუშაობენ.

ი. სეფაშვილი,
ყვარლის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ხელები შორს ვიეტნამისაგან!

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ვიეტნამის მშვიდობისათვის მებრძოლ ბრიტანელთა საბჭომ გადაჭრით დაგმო ამერიკის თვითმფრინავების მიერ ქანოისა და ჰაიფონის რაიონების დაბომბვა და, განაცხადა, რომ ამერიკის გათავხედებული მხედრიონის ეს მოქმედება „ლანამაულია მსოფლიოს ხალხთა წინაშე“. ვიეტნამის მშვიდობისათვის მებრძოლ ბრიტანელთა საბჭო პროტესტს აცხადებს ომის შემდგომი ესკალაციის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, და მოითხოვს იხგლისის მთავრობისგან სავსებით გაემიჯნოს ამერიკის აგრესიულ პოლიტიკას.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ამერიკის თვითმფრინავების მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ბარბაროსულმა დაბომბვამ იტალიის დემოკრატიული ძალების ფართო საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია.

ამერიკის ავიაციის თავდასხმები ახალი პროვოკაციაა და კიდევ უფრო სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას, ნათქვამია იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის განცხადებაში. იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მოსთხოვა იტალიის მთავრობას, რომ გაემიჯნოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და პოლიტიკურ და დიპლომატიურ სპარეზზე განაზორიეულოს საჭირო ღონისძიებანი ამერიკის აგრესიის შეწყვეტისთვის. საპროტესტო დემონსტრაციები და მიტინგები მთელ იტალიაში ეწყობა.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება დაიწყოს ფართო საერთო ეროვნული საპროტესტო მოქმედება იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკა აფართოებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვას.

პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ მოუწოდა იაპონიის მთელ დემოკრატიულ ძალებს 20 ივლისს—ჟენევის შეთანხმებათა 12 წლისთავის დღეს — მოაწყონ საერთო მოქმედებანი, მათ შორის გამოაცხადონ საპროტესტო გაფიცვები ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲗᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲑᲝᲛᲑᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ თვითმფრინავების დიდი ჯგუფები, რომლებიც ეყრდნობიან სამხრეთ ვიეტნამის, ტაილანდის ავიაბაზებსა და ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდებს, იჭრებიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სივრცეში, ბარბაროსულად ბომბავენ და ცეცხლს უშენენ დასახლებულ პუნქტებსა და სამრეწველო ობიექტებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: *დაბომბვის შედეგად დანგრეული სახლები ქალაქ ნამ დინში 87 კილომეტრზე ჰანოის სამხრეთით.*

საკდესის ფოტოქრონიკა.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 2 ივლისი. (საკდესი). დღეს გაიმართა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს რიგგარეშე სხდომა, რომელზეც საგარეო საქმეთა მინისტრმა კუვ დე მიურვილმა ინფორმაცია წარადგინა რესაუბლიკის პრეზიდენტის დე გოლის მოგზაურობის შესახებ საბჭოთა კავშირში. გენერალმა დე გოლმა შეაჯამა მოგზაურობის შედეგები.

მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ გაიმართა პრეს-კონფერენცია. ინფორმაციის საკითხთა სტატს-მდივანმა ივონ ბურუმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ კუვ დე მიურვილმა აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებით გულთბილი შეხვედრა მოუწყეს გენერალ დე გოლს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებმა და საბჭოთა ხალხმა.

გენერალმა დე გოლმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმ პირობების გამო, რომელშიც მიმდინარეობდა მისი მოგზაურობა სსრ კავშირში, და მადლობა უძღვნა საბჭოთა ხელისუფლებსა და მოსახლეობას. მან ხაზი გაუსვა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის დაახლოების დიდ მნიშვნელობას და მათ თანამშრომლობას, რომელიც სულ უფრო მტკიცდება. ცხადია, თქვა პრეზიდენტმა, რომ განავრძობს რა ამ პოლიტიკას, საფრანგეთს არა აქვს სხვა მიზნები, გარდა ევროპის ინტერესებისა, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისა.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება, აღნიშნა დღეგანდელ სხდომაზე კუვ დე მიურვილმა, დამთავრდა ორი შეთანხმების ხელმოწერით — მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობისა და კოსმოსის ათვისებაში თანამშრომლობის შესახებ და პოლიტიკური დეკლარაციის ხელმოწერით, რომელშიც ორივე მხარემ ხაზი გაუსვა განხორციელებული კონტაქტების დიდ მნიშვნელობას. დეკლარაციაში ასახულია ორი მთავრობის სურვილი განავითარონ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა ყველა დარგში.

კერძოდ, განაგრძო საგარეო საქმეთა მინისტრმა, ორივე მთავრობამ გადაწყვიტა აწარმოონ ურთიერთშორის რეგულარული კონსულტაციები საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად პრობლემებზე, რომლებიც ორივე ქვეყანას აინტერესებს. ამ პრობლემების საფუძვლიანად განხილვამ ცხადყო, რომ ორ მთავრობას შორის აზრის გაზიარება ბევრ მხრივ შეიძლება მეტად სასარგებლო იყოს. ეს შეეხება, კერძოდ, ჩვენი კონტინენტის პრობლემებს, ესე იგი ევროპის უშიშროებასა და გერმანიის საკითხს. სწორედ დაძაბულობის შენელების გზით ევროპის მთელ კონტინენტზე, ხაზი გაუსვა კუვ დე მიურვილმა, შეიძლება შეიქმნას ხელსაყრელი პირობები, რათა განვიხილოთ და მივაღწიოთ შეთანხმებას ევროპის ფარგლებში იმ საკითხებზე, რომელთა გამო ჯერ-ჯეროობით პოზიციები სხვადასხვაა.

უპასუხა რა ჟურნალისტთა კითხვებზე, ი. ბურუმა თქვა, რომ პრეზიდენტმა დე გოლმა საფრანგეთში მოიწვია ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი და ნ. ვ. პოდგორნი, მაგრამ ჩამოსვლის თარიღი ჯერ კიდევ არ არის დაწესებული. როგორც ბურუმა განაცხადა, მინისტრთა საბჭოს დღეგანდელ სხდომაზე არაფერი უთქვამთ იმის შესახებ, რომ დე გოლი შეიძლება გაემგზავროს აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში.

უპასუხა რა ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როგორია საფრანგეთის პოზიცია ამერიკის ავიაციის მიერ ჰანოისა და ჰაიფონის გარეუბნების დაბომბვის მიმართ, ბურუმა განაცხადა: „საფრანგეთის მთავრობას არაერთხელ უთქვამს, რომ არ იწონებს იმას, რასაც უწოდებენ „ესკალაციას, რომელშიც ჩაბმულნი არიან შეერთებული შტატები. და მით უფრო ვმობს იგი ჰანოისა და ჰაიფონის დაბომბვას, რამაც შეიძლება მხოლოდ გააძნელოს ამ პრობლემის გადაჭრა“. ბურუმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გამოვიდა პირადად პრეზიდენტი დე გოლი.

დღევანდელ სხდომაზე შეაჯამეს აგრეთვე პარლამენტის სესიის შედეგები და განიხილეს მთელი რიგი ფინანსური და ეკონომიური საკითხები.

ᲐᲠᲛᲘᲐ ᲛᲔᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲡ ᲑᲠᲐᲖᲐᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲝᲡ ᲛᲝᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ

ᲑᲠᲐᲖᲐᲕᲘᲚᲘ 2 ივლისი. (საკდესი). ბრაზავილის კონგოს ეროვნული სახალხო არმია მხარს უჭერს რესპუბლიკის მთავრობის არჩევახს მეცნიერული სოციალიზმის სასარგებლოდ და პრაქტიკულად შეუწყობს ხელს ჩვენი რევოლუციის გაბმტკიცებას. არმიის ჯარისკაცები რევოლუციური კონგოს შვილებია, განაცხადა დღეს რადიოით კონგოს არმიის გენერალური შტაბის უფროსმა ლეიტენანტმა კიმბუალამ. კოხგოელმა ხალხმა, მისმა პარტიამ და მთავრობამ იციან, რომ კონგოს არმიის დიდ უმრავლესობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი პატივს სცემდეს, უყვარდეს და იცავდეს ხალხს, თქვა მან.

კიმბუალამ ეს განცხადება გააკეთა მიმართვაში ჯარისკაცებისა და ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის აქტივისტებისადმი.

კიმბუალამ მოუწოდა პრეფექტურების არმიის რევოლუციურ ძალებს, პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებსა და სამოქალაქო თავდაცვის კორპუსს გაერთიანდნენ, რათა ლაბავრი ჩასცენ კონტრრევოლუციას. არმიაში, თქვა მან, აგრეთვე არიან კონტრრევოლუციონერები, რომელთა გამო განვიცდით ახლანდელ კრიზისს, მაგრამ ისინი არმიაში უმცირესობაა. კონგოს არმიის ახალგაზრდა ჯარისკაცთა უმრავლესობა, განაცხადა კიმბუალამ, იბრძვის ამ ბოროტი ელემენტების წინააღმდეგ, „რომელთა დღეები დათვლილია“. არმიის ახალგაზრდა ჯარისკაცები, აღნიშნა მან, სავსებით იწოლებენ მთავრობის კანონს კონგოს ეროვნული სახალხო არმიის შესახებ და გარანტიას იძლევიან, რომ ამ კანონის განხორციელება არავითარ დაბრკოლებას არ წააწყდება.

კონგოს არმია, ხაზი გაუსვა დასასრულ ლეიტენანტმა კიმბუალამ. შეგნებულია და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გზა გადაეღობოს იმპერიალიზმსა და კონტრრევოლუციას.

ᲔᲠᲐᲕᲭᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. არმიამ და ხალხმა არ დაუშვირეს მხარი განზრახული გადატრიალების ხელმძღვანელთა მოწოდებას, რომელშიც მონაწილეობდა ასამდე კაცი, განაცხადა ერაყის პრემიერ-მინისტრმა აბდელ რაჰმან ალ-ბაზაზმა. რეიტერის საგაზეთოს ცნობით, პრემიერ-მინისტრი გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე, რომელსაც ბაღდადის რადიოთი გადასცემდნენ.

ბაზაზმა აღნიშნა, რომ გადატრიალების ცდასთან დაკავშირებით დაპატიმრებულია 50 კაცი, მათ შორის ხელმძღვანელი, სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი არეფ აბდელ რაზაკი.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ერაყი ისწრაფვის მეგობრული ურთიერთობა იქონიოს მეზობელ ქვეყნებთან, კერძოდ თურქეთსა და ირანთან. (საკდესი).

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

1 ივლისს გაიხსნა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი. პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურმა მდივანმა იოსიპ ბროზ ტიტომ. პლენუმის მონაწილეებს მან აცნობა, რომ სახელმწიფო უშიშროების მართვის ორგანოებში გარკვეულ დამახინჯებებთან დაკავშირებით რამდენიმე ხნის წინათ შეიქმნა პარტიულ-სახელმწიფო კომისია ამ პრობლემათა გამოსაძიებლად. კომისია, თქვა ტიტომ, პლენუმს წარუდგენს თავისი მუშაობის ანგარიშს, მაგრამ გამოძიება ჯერ მთლიანად არ დამთავრებულა. შემდეგ ტიტომ განაცხადა, რომ სახელმწიფო უშიშროება, რომლის მთავარი ხელმძღვანელი რანკოვიჩი იყო, ოც წელზე მეტ ხანს პარტიის კონტროლის გარეშე იმყოფებოდა.

აღნიშნა რა იუგოსლავიის უშიშროების ორგანოების როლი კლასობრივი და სხვა მტრების ლიკვიდაციაში ომის დროს და მას შემდეგ, ტიტომ ხაზი გაუსვა, რომ ახლა ამ ორგანოების სისტემაში გამოვლინდა შეცდომები და „დამახინჯებანი, რომლებიც უზომოდ დიდია“. ამის შედეგად შეიქმნა ერთგვარი სიძნელეები, შეფერხდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის VIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება. შემდეგ მან აღნიშნა, რომ საქმე ეხება „არა მარტო ცალკეულ პირებს, არამედ ფრაქციულ, ჯგუფურ ბრძოლას, ბრძოლას ძალაუფლებისათვის“. ტიტომ დასვა საკითხი პარტიის გაჯანსაღების შესახებ, ისეთი მდგომარეობის ლიკვიდაციის შესახებ, როცა უშიშროების ორგანოები ზემოქმედებას ახდენდნენ პარტიაზე, ცდილობდნენ თავი საზოგადოებაზე მაღლა დაეყენებინათ.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა პლენუმზე განიხილა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში არსებული მდგომარეობა, ხელმძღვანელობის მეთოდები და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები, და ურჩია დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რეორგანიზაციას, იუწყება ტანიუგის სააგენტო.

ს. სტეფანოვიჩი, რომელიც უშუალოდ აგებდა პასუხს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობისათვის, პლენუმის გადაწყვეტილებით გამოყვანილია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და გარიცხულია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირიდან. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა საკავშირო სკუპშინას ურჩია გამოიყვანოს იგი საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრთა შემადგენლობიდან.

ა. რანკოვიჩი გადადგა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრის პოსტიდან. საკავშირო სკუპშინამ უნდა განიხილოს რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის პოსტიდან მისი განთავისუფლების საკითხი. მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობისათვის ისეთია, აღნიშნულია პლენუმის გადაწყვეტილებაში, რომ იგი აღარ შეიძლება დარჩეს ამ თანამდებობებზე.

(საკდესი).

ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ინგლისის თავდაცვის მინისტრი ჰილი ორ კვირის ვიზიტად წავიდა ლონდონიდან შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში. ჰილი ეწვევა სინგაპურს, ჰონკონგსა და მალაიზიას.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ესპანეთში პირველი ივლისიდან კვლავ მკვეთრად გაადიდეს ბინის ქირა. როგორც აქ მიღებული გაზეთი „ვანგუარდია ესპანიოლა“ იუწყება, ბინის ქირა, თანახმად დეკრეტისა, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში გამოქვეყნდა „ოფიციალურ სახელმწიფო ბიულეტენში“, დიდდება 20 პროცენტით. (საკდესი).

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲠᲘᲚᲘᲐᲜᲖᲔ

◆ **ᲡᲘᲠᲘᲐ,** 4 ივლისი. ოტავაში ბულგარეთისა და კანადის მთავრობების დელეგაციათა მოლაპარაკების შედეგად ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამ ორი ქვეყნის საფინანსო და საკონსულო საკითხების მოწესრიგების შესახებ. ამას იუწყება ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო.

ბულგარეთი და კანადა აგრეთვე ამყარებენ დიპლომატიურ ურთიერთობას. ორივე ქვეყანა გაცვლის ელჩის რანგის დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

◆ **ᲐᲜᲙᲐᲠᲐ.** ერაყის პრემიერ-მინისტრი აბდელ რაჰმან ალ-ბაზაზი ჩამოვიდა აქ მეკი ოფიციალურ ვიზიტად. მან კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ერაყის მთავრობა სავსებით უწევს კონტროლს მდგომარეობას.

◆ **ᲞᲐᲠᲘᲖᲘ,** 2 ივლისი. დღეს საფრანგეთმა ატომური ბომბის აფეთქება მურუროის ატოლის რაიონში, რომელიც 1.200 კილომეტრზე მდებარეობს ტაიტის კუნძულებიდან, წყნარ ოკეანეში.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი პაპეეტედან (ტაიტი) იუწყება, დაიწყო საფრანგეთის ექსპერიმენტული ატომური ბომბების აფეთქების სერია წყნარ ოკეანეში.

◆ **ᲚᲐ-ᲞᲐᲡᲘ,** 4 ივლისი. საყოველთაო არჩევნებში, რომელიც გუშინ გაიმართა მოლიგიაში, სამხედრო ხუნტის ყოფილმა თავმჯდომარემ გენერალმა რენე ბარიენტოსმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა „ბოლივიის რევოლუციის ფრონტისაგან“, წინასწარი მონაცემებით, მიიღო ხმების 80 პროცენტამდე.

◆ **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ,** 2 ივლისი. მანილაში ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დინ რასკი. როგორც ასოციიტედ პრესის სააგენტო იუწყება, მანილაში ამერიკელ აგრესორთა ბარბაროსული მოქმედება

**ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐᲡ ᲛᲝᲡᲐᲠᲘᲡ ᲣᲭᲔᲠᲡ ᲑᲠ

ეკითხეთ, სად გსურთ ისწავლოთ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დაპატებით აცხადებს

დაუსწრებელი სწავლების მეორე ნაკადზე ეკონომიური ფაკულტეტის მრეწველობის დაგეგმვის, ვაჭრობის ეკონომიკის, ფინანსებისა და კოდიტის, საბუსალტრო აღრიცხვის, სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობის და ვაჭრობის ორგანიზაციის, სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობის და ვაჭრობის ორგანიზაციის და **იურიდიული** ფაკულტეტის სამართლისმცოდნეობის სპეციალობებზე **მისაღები გამოცდები ნაცვლად 11 ივლისისა,** როგორც ეს გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტში" **ა/წლის 23 აპრილს, ჩატარდება** ა/წლის 1 აგვისტოდან.

განცხადებების მიღება ა. წ. 30 ივლისამდე.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობაზე შემსვლელნი ნაცვლად ა/წლის 21 ივნისს გაზეთ „კომუნისტში" გამოცხადებული დისციპლინებისა — მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, ქიმია (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში — მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, **გეოგრაფია (ზეპირი)***, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

ვარსკვლავით აღნიშნულია მაპროფილებელი საგნები.

დაწვრილებითი ცნობები მიმღები კომისიის სამდივნოში. მისამართი: **თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 3, I სართული, ოთახი № 39. ტელეფონი, ქვესადგური 2-23-71.**

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1966/67 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

ინგლისური ენა; გერმანული ენა; ფრანგული ენა; (ქართულ და რუსულ სექტორებზე).

ინსტიტუტში შემოსულელები აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ქართულ სექტორზე: უცხო ენაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრკ ისტორიაში.

რუსულ სექტორზე: უცხო ენაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრკ ისტორიაში.

განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნეს ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწესებული ფორმის მიხედვით, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); 2. ავტობიოგრაფია; 3. საშედეგინო ცნობა (ფორმა № 286); 4. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ. დამოწმებული); 5. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ხელმოწერილი საწარმოთა-დაწესებულების ხელმძღვანელის, პარტბიუროს ან კომკავშირის ბიუროს მდივნის და ადგილკომის თავმჯდომარის მიერ. კოლმეურნეთათვის — ხელმოწერილი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ დახასიათებას, გაცემულს სკოლის პედსაბჭოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ; საბჭოთა არმიიდან და საბერძნო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი — გაცემულს სათანადო სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელების მიერ; 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. ამონაწერში აღნიშნული უნდა იყოს გამოუშვებელი დროებითი ან ძირითადი შრომადღეების მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლების მიხედვით.

ეპასპორტსა და სამხედრო ბილეთს (ან მიწერის მოწმობას) შემომსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

განცხადებები მიიღება ა. წ. 30 ივლისამდე ჩათვლით ყოველდღე (გარდა კვირადღეებისა) 10-დან 14 საათამდე.

კონსულტაციები საგამოცდო საგნებში მოეწყობა 16-დან 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 45).

თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი

აცხადებს მიღებას დღის განყოფილებაზე 1966-67 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

პირველ კურსზე

1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა, 2. ლითონების ჭრით დამუშავება, 3. სამრეწველო ობიექტების რადიოელექტრომოწყობილობის მონტაჟი, 4. მანქანათმშენებლობა, 5. შედუღების წარმოების ტექნოლოგია.

მესამე კურსზე

1. სამრეწველო მოწყობილობათა მონტაჟი და რემონტი, 2. სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობის მონტაჟი.

ტექნიკუმში შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ:

პირველ კურსზე

ქართულ ენაში (ათთხრობის წერა), მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

მესამე კურსზე

ქართულ ენაში (თხზულება — წერა), მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

განცხადებები მიიღება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე 1966 წლის 31 ივლისამდე შემდეგი საბუთების თანდართვით. 1. განათლების მოწმობა (ატესტატი) — დედანი, 2. ავტობიოგრაფია, 3. საექიმო ცნობა (ფორმა 286), 4. სამი ფოტოგრაფიული სურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4), 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. დაბადების მოწმობის ასლი (შემოწმებული ნოტარიუსის მიერ), 7. სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის, წვევამდელთათვის აღრიცხვის ბარათი) წარმოადგენენ პირადად.

გამოცდები იწარმოებს 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. განცხადებების მიღება — ტექნიკუმის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 11 საათიდან დღის 15 საათამდე.

ტექნიკუმის დღის განყოფილებაზე ჩარიცხულები უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით.

მისამართი: თბილისი, კამოს ქ. № 70.

ტექნიკუმის დირექცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს

საბჭოთა ვაჭრობის თბილისის ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1966/67 სასწავლო წლისათვის დღის და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

დღის განყოფილებაზე მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე შემდეგ სპეციალობებზე:

1. საქმლის მომზადების ტექნოლოგიური (I კურსზე); 2. საქონელმცოდნეობის და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის (I და II კურსებზე); 3. საქონელმცოდნეობის და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის (I და II კურსებზე); 4. სამაცივრო-საკომპრესორო მანქანების და დანადგარების (III კურსზე); 5. საბუხალტრო აღრიცხვის (II კურსზე).

პირველ კურსებზე მიიღებიან რვაწლიანი განათლებით, ხოლო მეორე და მესამე კურსებზე საშუალო **განათლების** მქონე პირები.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან მოქალაქენი ასაკის განუსაზღვრელად შემდეგ სპეციალობებზე:

1. საქმლის მომზადების ტექნოლოგიის (I კურსზე); 2. საქონელმცოდნეობის და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის (III კურსზე); 3. საქონელმცოდნეობის და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის (III კურსზე); 4. საბუხალტრო აღრიცხვის (III კურსზე).

პირველ კურსზე მიიღებიან რვაწლიანი, ხოლო III კურსებზე საშუალო განათლების მქონე პირები.

მისაღები გამოცდებს პირველ კურსზე შემსვლელნი აბარებენ რვაწლიანი სკოლის პროგრამის მოცულობით, ხოლო II და III კურსებზე საშუალო სკოლის პროგრამით.

მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე, დღის 12 საათიდან 5 საათამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს დასწრებელ განყოფილებაზე 1-დან 20 აგვისტომდე, ხოლო დაუსწრებელზე 10-დან 20 აგვისტომდე. ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით. ჩარიცხვა იწარმოებს 21-25 აგვისტომდე. **ჩარიცხვის დროს უპირატესობით სარგებლობენ დაუსწრებელზე შემსვლელი ის პირები, რომლებიც მუშაობენ ვაჭრობის სისტემაში.** მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადებები შემოტანილი უნდა იქნას დირექტორის სახელზე **შემდეგი** საბუთების **დართვით:** 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ და კოლმეურნეობის წევრებისათვის ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მიერ, ხოლო ის პირები, რომლებიც მოვლენილებული არიან სასწავლებლად სოციალურ და სხვა ორგანიზაციებიდან დასწრებულ განყოფილებაზე ადგენენ მომართვას დადგენილი ფორმა № 1-ს, 3. ავტობიოგრაფია, 4. დაბადების მოწმობა (პასპორტი წარმოდგენილი უნდა იქნას პირადად), 5. სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) ან მიწერის მოწმობა წარმოდგენილი უნდა იქნას პირადად, 6. ოთხი ფოტოსურათი (ზომით 3×4), 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმში ყოველდღე დღის 12 საათიდან 5 საათამდე.

მისამართი: ილია ჭავჭავაძის პრ. № 64, ტელ. 2-30-11.

ტექნიკუმის დირექცია.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს

თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელი

1966-67 სასწავლო წლისათვის აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას საბიბლიოთეკო და ჟიგნისვაროგის საქონელმცოდნეობის განყოფილებაზე (სწავლა ქართულ ენაზეა).

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო და არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლამდე ასაკისა, სამუშაოსაგან მოწყვეტით.

სასწავლებელში სწავლის ვადა არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სამი წელია, ხოლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის 2 წელი.

სასწავლებელი კურსდამთავრებულებს აძლევს ბიბლიოთეკარის და წიგნის ვაჭრობის საქონელმცოდნის სპეციალობას და უფლებას სასწავლებელში შესვლის უფლებას.

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ჯგუფში, ხოლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ჯგუფში.

სასწავლებლის ორივე განყოფილებაზე არასრული საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი აბარებენ მისაღებ გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), 2. მათემატიკაში (ზეპირი).

ხოლო საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი აბარებენ მისაღებ გამოცდებს **საშუალო** სკოლის **პროგრამის** მოცულობით **შემდეგ** საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა (თხზულება) და ზეპირი), 2. სსრკ ისტორიაში (ზეპირი).

განცხადება, შემოტანილ უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით შემდეგი საბუთების დართვით:

1. განათლების მოწმობის დედანი, არასრული საშუალო ან საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ. 2. ავტობიოგრაფია, 3. ცხობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა № 286. 4. სამი ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4-ზე), 5. ის პირები, რომლებსაც აქვთ სულ მცირე ორი წლის მუშაობის სტაჟი. წარმოადგენენ საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამოწმებულ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეები გამგეობის მიერ დამოწმებულ ამონაწერს საკოლმეურნეო წიგნაკიდან. სასწავლებელში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ დაბადების მოწმობას ან პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

სასწავლებელში ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ: 1. არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები და საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები.

2. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი, თუ მათ სამხედრო სამსახურში დაჰყვეს არანაკლებ ორი წლისა. 3. ის პირები, რომლებსაც აქვთ სულ მცირე ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

ქულების საერთო რაოდენობა განისაზღვრება შესასვლელი გამოცდების დროს მიღებული შეფასებისა და განათლების დოკუმენტში აღნიშნული ყველა შეფასების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან სახელმწიფო სტიპენდიით საერთო წესით.

განცხადებები მიიღება ა. წ. 10 აგვისტომდე, მისაღები გამოცდები იწარმოებს 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში ყოველდღე გარდა კვირადღისა დღის 3 საათიდან 8 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ჩაიკოვსკის ქ. № 9. ტელეფონი 9-82-10.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მარტყოფის ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1966-67 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმში მიიღებიან 30 წლის ასაკამდე ორივე სქესის მოქალაქენი. ტექნიკუმს აქვს ორი პროფილი **მექანიზაციის** და **ელექტროფიკაციის.** ტექნიკუმი ამზადებს სოფლის მეურნეობის ტექნიკოს-მექანიკოსებს და ელექტროტექნიკოსებს. ტექნიკუმი აწარმოებს აგრეთვე დამატებითი პროფესიების მინიჭებას როგორიცაა: III კლასის მძღოლის, ელექტრო მონტიორის, ფართე პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანის და სხვ.

მექანიზაციის და ელექტროფიკაციის პროფილის პირველ კურსზე ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, აგრეთვე მე-8, **მე-9** კლასდამთავრებულნი (სწავლების ხანგრძლიობა 3 წელი და 6 თვე), რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: 1. **ქართული** ენაში (წერა), 2. მათემატიკაში (წერა — ზეპირი).

მექანიზაციის პროფილის მეორე კურსზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი (სწავლების ხანგრძლიობა — 2 წელი და 6 თვე), რომლებიც გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — თხზულება), 2. მათემატიკაში (წერა — ზეპირი).

კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არა ნაკლები ორი წლისა და სასწავლებლად გამოიგზავნებიან კოლმეურნეობებისა ან საბჭოთა მეურნეობის მიერ, აგრეთვე სამხედრო სამსახურიდან და საზღვაო ფლოტის რიგებიდან დემობილიზებულნი, ყველა დანარჩენი კი ჩაირიცხებიან კონკურსის მიხედვით.

განცხადება შემოტანილი უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე (პროფილის ჩვენებით), შემდეგი საბუთების დართვით: 1. დოკუმენტი არასრული საშუალო ან საშუალო სკოლის დამთავრების, ან ცნობა საშუალო სკოლის 9, 10 კლასში გადასვლაზე, 2. ავტობიოგრაფია, 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 4. სამი ცალი ფოტოსურათი უქუდოდ (3X4 სან. ზომისა), 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან **დამოწმებული** წარმოების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო **კოლმეურნეთათვის** ამონაწერი კოლმეურნეობის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ (იმ პირთათვის ვისაც აქვს საწარმოო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ორი წლისა). კოლმეურნეობიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან ან სხვა საწარმოების მიერ გამოგზავნილებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ მომართვა გამომგზავნელ ორგანიზაციიდან ფორმა № 1-ს მიხედვით, 6. პირადად წარმოდგენილი უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) ან მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის).

განცხადების მიღება იწარმოებს 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე.

ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს. ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან ბინით საერთო საცხოვრებელში და დაენიშნებათ სტიპენდია საერთო წესის მიხედვით.

ყოველგვარი ცნობების მიღება ტექნიკუმში ჩარიცხვის შესახებ შეიძლება ყოველდღე 9-დან 17 საათამდე გარდა უქმე დღეებისა.

მისამართი: მარტყოფი, მექანიზაციის და ელექტროფიკაციის ტექნიკუმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

ქუთაისის №37 პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას

1966-67 სასწავლო წლისათვის. სასწავლებელში მიიღებიან საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე ვაჟები 17-დან 30 წლის ასაკამდე.

სკოლა აამზადებს ფაქიზებს. სწავლების ვადა ერთნახევარი წელია. განცხადებები მიიღება 25 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), ავტობიოგრაფია, დაბადების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3×4), პასპორტი წარმოდგენილი უნდა იქნას პირადად. სასწავლებელში ჩარიცხულები მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით, უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლების ვადა ეთვლება ათწლიანი საშუალო სტაჟად. წარჩინებით კურსდამთავრებულნი სარგებლობენ უფლებით კონკურსგარეშე ჩარიცხულ იქნან უმაღლეს სასწავლებლებში.

განცხადებები მიიღება ყოველდღე გარდა კვირადღისა დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე.

სასწავლებლის მისამართი: ქუთაისი, წერეთლის ქუჩა № 145.

დირექცია.

დისერტაციების დაცვა

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი სოხუმი-კალასური

29 ივლისს, დღის 12 საათზე, ინსტიტუტის საკტო დარბაზში ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ოთარ გრიგოლის-ძე აბესაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„იმერეთის ჩაის ფოთლის ტექნოლოგიური გამოკვლევა და პირველადი გადამუშავების ჩაის ფაბრიკების პროდუქციის ხარისხის ამაღლების გზები".**

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ასპირანტი ჩინ ბა ხიუ** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ლიმონის ტეტრაპლოიდური ფორმების ბიოლოგიური დახასიათება და გამოყენების შესაძლებლობანი".

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს

თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი

1966-67 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას:

საგუნდო-სადირიჟორო, თეატრალური, ქორეოგრაფიული, მხატვარ-გრაფიორი, ხალხური საკრავების და თოჯინების თეატრის განყოფილებებზე.

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ არასრული საშუალო განათლება.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა მისაღები გამოცდები უნდა ჩააბარონ: 1. საპეციალობაში, 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი).

სასწავლებელში კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი და ის პირნი, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა უნდა შემოიტანონ სასწავლებლის დირექტორის სახელზე განცხადება და წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. დახასიათება-რეკომენდაცია საშუალო სპეციალურ სასწავლებელში წასვლიანად, 2. განათლების მოწმობა (დედანი), 3. შრომის წიგნაკიდან ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების მიერ, ხოლო კოლმეურნეებმა უნდა წარმოადგინონ ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, 4. ავტობიოგრაფია, 5. დაბადების მოწმობა (ასლი), 6. სამხედრო ბილეთი (სათადარიგო ვალდებულებისათვის), მიწერის მოწმობა საბჭოთა არმიაში წვევამდელების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას პირადად, 7. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ), 8. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 280), 9. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

განცხადებები მიიღება 1966 წლის 5 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 10 აგვისტოდან. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. სასწავლებელში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია. სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე. სასწავლებელში ამზადებს მომღერალთა გუნდის და ხალხური საკრავების ორკესტრის დირიჟორებს, ქორეოგრაფებს, მხატვარ-გრიმიორებს, რეჟისორებს, თოჯინების თეატრის კოლექტივების ხელმძღვანელებს.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, კლარა ცეტკინის ქ. 200, ტელეფონები: 5-30-69, 5-70-82.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს

მცხეთის მხატვრულ-კერამიკული სკოლა

აცხადებს 1966-67 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას.

სკოლაში მიიღებიან 15-18 წლის ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი არასრული და სრული საშუალო განათლებით.

გამოცდები იწარმოებს ხატვასა და ძერწვაში.

გამოცდები მიეწყობა 20 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა სამი წელია.

შენიშვნა: სამამულო ომში დაღუპულთა და სამამულო ომის ინვალიდთა შვილები, აგრეთვე ობლები და საბავშვო სახლში აღზრდილები დამატებით უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით და ტანსაცმლით. სკოლაში ჩარიცხულთა მეცადინეობა სტიპენდია.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ავტობიოგრაფია, ატესტატი (დედანი), პასპორტი (ადგილზე პირადად), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან და სამი ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4.

საბუთების გამგზავნა შეიძლება ფოსტითაც.

მისამართი: მცხეთა, თბილისის ქ. № 14. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მცხეთის მხატვრულ-კერამიკული **სკოლის** დირექცია.

ჩუ ვნახოთ, ჩუ მოვისმინოთ

ტელევიზია

5 ივლისი

11.00 — ლექცია-საუბარი მათემატიკაში მისაღები გამოცდების მაბრძანებელთა ჩაბარების შესახებ, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — „მხედრები გამოვლენ სტარტზე", 18.30 — განცხადებები, 18.35 — კინონარკვევი, 18.45 — „სკკპ XXIII ყრილობის გადწყვეტილებები ცხოვრებაში" მეცნიერები — სამთო მრეწველობის (სტუდიაში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკა-საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ა. ძიძიგური), 19.05 — „ლენინური პანინზმი", 19.55 — მხატვრული პროგრამა, 23.00 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დღის 12 საათიდან, საღამოს 17 ს. 45 წ.

რედაქტორის მოადგილე

ბ. თათარიშვილი

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-98-08, 9-02-09 ა/ბ, მდივნის — 9-72-80. ხარმდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, პრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-59-46 საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურა-ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-18-20, უცხოეთის — 8-15-68 წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 8-26-54, განცხადებების — 8-08-26.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

KOMUNISTI ИНДЕКС 66443 УЭ 05998

სტ. ტ. ცკ-ს გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.